დანართი 1




განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

## ქართული

| | |
|---|---|
| ემბლემის სიმაღლე | 1 |
| სიმბოლოს სიმაღლე | 1/2 |
| შრიფტი | Fira GO - Medium |
| შრიფტის ზომა | 1/10 |
| ბწკარების დაშორების სიმაღლე | 1/20 |
| დაშორება ასოებს შორის | 0 (auto) |




MINISTRY OF EDUCATION
AND SCIENCE OF GEORGIA

MINISTRY OF EDUCATION
AND SCIENCE OF GEORGIA

## ლათინური

| | |
|---|---|
| ემბლემის სიმაღლე | 1 |
| სიმბოლოს სიმაღლე | 1/2 |
| შრიფტი | Fira GO - Medium |
| შრიფტის ზომა | 1/10 |
| ბწკარების დაშორების სიმაღლე | 1/20 |
| დაშორება ასოებს შორის | 0 (auto) |

დანართი 2




სსიპ ინფორმაციული
ტექნოლოგიების სააგენტო

სსიპ ინფორმაციული
ტექნოლოგიების სააგენტო

## ქართული

| | |
|---|---|
| ემბლემის სიმაღლე | 1 |
| სიმბოლოს სიმაღლე | 2/5 |
| შრიფტი | Fira go - Medium |
| შრიფტის ზომა | 1/10 |
| ბწკარების დაშორების სიმაღლე | 1/20 |
| დაშორება ასოებს შორის | 0 (auto) |




LEPL INFORMATION
TECHNOLOGY AGENCY

LEPL INFORMATION
TECHNOLOGY AGENCY

## ლათინური

| | |
|---|---|
| ემბლემის სიმაღლე | 1 |
| სიმბოლოს სიმაღლე | 2/5 |
| შრიფტი | Fira GO - Medium |
| შრიფტის ზომა | 1/10 |
| ბწკარების დაშორების სიმაღლე | 1/20 |
| დაშორება ასოებს შორის | 0 (auto) |

დანართი 3 CMYK 100.81.0.13






CMYK 100.81.0.13






ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

MINISTRY OF EDUCATION
AND SCIENCE OF GEORGIA

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

MINISTRY OF EDUCATION
AND SCIENCE OF GEORGIA

ᲡᲡᲘᲞ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

LEPL INFORMATION
TECHNOLOGY AGENCY

ᲡᲡᲘᲞ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

LEPL INFORMATION
TECHNOLOGY AGENCY

# დანართი 4


12 mm
60 mm
სიმბოლო
17 mm
35 mm
მისამართი
ტექსტის ზომა: 10 pt
დაწესებულების სახელწოდება
შრიფტი: Fira Go
ტექსტის ზომა 13 Pt
4 mm
თარიღი
ტექსტის ზომა: 10 pt
კოდი
ტექსტის ზომა: 10 pt
12 mm
ტექსტი
12 mm
შტამპი
12 mm

კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სანაპიროს ქუჩა N4
0105 თბილისი, საქართველო
+995 32 202 22 29
info@culture.gov.ge

04 ნოემბერი 2022

GOV 7 22 0040017

ნიმუში 1

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

04 ნოემბერი 2022

აკაკი წერეთლის გამზ. N144
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 202 22 29
info@culture.gov.ge

GOV 7 22 0040017

**ნიმუში 2**

# დანართი 5



12 mm
60 mm
სიმბოლო
13 mm
33 mm
დაწესებულების სახელწოდება
შრიფტი: Fira Go
ტექსტის ზომა 12 Pt
მისამართი
ტექსტის ზომა: 10 pt
9 mm
თარიღი
ტექსტის ზომა: 10 pt
კოდი
ტექსტის ზომა: 10 pt
12 mm
ტექსტი
12 mm
შტამპი
12 mm

**სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო**

144 აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 251 00 21
info@culture.gov.ge


04 ნოემბერი 2022

GOV 7 22 0040017

**ნიმუში**

# დანართი 6


12 mm
სიმბოლო
17 mm
35 mm
დაწესებულების სახელწოდება
შრიფტი: Fira Go
ტექსტის ზომა 13 Pt
4 mm
თარიღი
ტექსტის ზომა: 10 pt
კოდი
ტექსტის ზომა: 10 pt
12 mm
ტექსტი
12 mm
შტამპი
12 mm

**კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**

04 აგვისტო 2022

GOV 7 22 0040017

**ნიმუში**

# დანართი 7


12 mm
სიმბოლო
13 mm
33 mm
დაწესებულების სახელწოდება
შრიფტი: Fira Go
ტექსტის ზომა 12 Pt
9 mm
თარიღი
ტექსტის ზომა: 10 pt
კოდი
ტექსტის ზომა: 10 pt
12 mm
ტექსტი
12 mm
შტამპი
12 mm

**პარლამენტთან არსებული**
**ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო**

04 აგვისტო 2022

GOV 7 22 0040017

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №572

2022 წლის 14 დეკემბერი

ქ. თბილისი

აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესი

„სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის გათვალისწინებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

+

მუხლი 1

აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი ფორმალური მხატვრულ-შინაარსობრივი სახის უზრუნველსაყოფად, სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის, საქართველოს მთავრობისა და სამინისტროების კონტროლქვეშ არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის სავალდებულოა საქართველოს სახელმწიფო გერბისა და წარმომდგენი დაწესებულების სახელწოდების აღმნიშვნელი წარწერის შემდეგი სახით გამოსახვა:

ა) საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და დაწესებულების დასახელების აღმნიშვნელი წარწერით შედგენილი ემბლემა, შენობის აბრა, ბანერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების სხვა საშუალება: სამინისტროებისათვის*, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის დანართ 1-ის, საქართველოს მთავრობისა და სამინისტროების კონტროლქვეშ არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ემბლემებისთვის დანართ 2-ის, ხოლო მედიასთან საკომუნიკაციო ბანერის შემთხვევაში, შესაბამისი წესით – დანართ 3-ის შესაბამისად;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი სამინისტროებისთვის, სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის დანართ 4-ის, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების შემთხვევაში – დანართ 5-ის შესაბამისად;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი  სამინისტროებისთვის, სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის დანართ 6-ის, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების  შემთხვევაში – დანართ 7-ის შესაბამისად.

*შენიშვნა: ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ღია და ფარული წყაროებიდან ინფორმაციის

მოპოვების/დამუშავების/ანალიზის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა მიმართ ზედამხედველობის განხორციელების, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დისციპლინური ნორმების დარღვევაზე ზედამხედველობის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სპეციალური გამოკვლევების, ადმინისტრაციული შენობებისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის მქონე დანაყოფებზე;

გ) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

+

მუხლი 2

საჯარო დაწესებულების სახელწოდების აღმნიშვნელი წარწერა უნდა შესრულდეს ქართული ანბანის Fira Go – Medium შრიფტის გამოყენებით.

+

მუხლი 3

ამ დადგენილების შესრულების მიზნით, საჯარო დაწესებულებებმა  2023 წლის 1 ივლისამდე ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით უზრუნველყონ შესაბამისი ბლანკის ნიმუშების დამტკიცება და საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოს, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს  საკუთარი საქმიანობისას კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ამ დადგენილების შესაბამისად გამოყენებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

+

მუხლი 4

სამინისტროებმა და მათი მმართველობის სფეროში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებმა, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, საქართველოს მთავრობისა და სამინისტროების კონტროლქვეშ არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა დანართ 4-ის, დანართ 5-ის, დანართ 6-ისა და დანართ 7-ის შესაბამისად შტრიხკოდების გამოსახვა შესაბამისი ბლანკის ნიმუშზე უზრუნველყონ 2023 წლის 15 დეკემბრამდე.

+

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი